<u>სახელმწიფო შესყიდვის შესახებ</u>
ხელშეკრულება N0410/713

ქ. თელავი 18 აპრილი 2012 წ.

ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტი, შემდგომში წოდებული ,,შემსყიდველი'', წარმოდგენილი მისი გამგებლის პეტრე კიკნაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „თელავის რაიონის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიურო", დირექტორის ნუგზარ ბაჩიაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანი: სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, თანდართული დანართი N1 შესაბამისად.

2.2 საფუძველი: საქართველოს მთავრობის 31.01.2012წ. №162 განკარგულება.

2.3 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: 71300000 - საინჟინრო მომსახურებები.

2.4 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

2.5 დაფინანსების წყარო -სახელმწიფო ბიუჯეტი.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 11166 (თერთმეტი ათას ას სამოდაექვსი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ალდებულებები.

დ) მიმწოდებელმა გაწეულ მომსახურებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების დადგენის მიზნით, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

ბ) გადაუხადოს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

4.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განახორციელოს კონტროლი ინსპექტირების ჯგუფის საშუალებით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი მომსახურების მიწოდების ნებისმიერ პერიოდში.

5.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს მიწოდებული საქონლის ტექნიკურ დოკუმენტაციასთან შესაბამისობა. მიმწოდებელი ვალდებულია 31 (ოცდათერთმეტი) დღეში გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული მომსახურების ან საქონლის ღირებულება.

6. მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი, როგორც ეტაპობრივი ისე საერთო, ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან (გამოწერიდან) არაუმეტეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება განხორციელდება სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 50% ღირებულებით, იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან

დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო მიუწოდებელი მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 18 ივნისამდე.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი საკარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
თელავის მუნიციპალიტეტი	შპს „თელავის რაიონის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიურო"
მის: ქ. თელავი, ერეკლე მე-2-ს გამზირი N16	მის: ქ.თელავი, ქეთევან წამებულის N3ა
საბანკო რეკვიზიტები: ლიბერთი ბანკი	ბანკი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ანგ. №GE31 LB01 2019 8781 1260 00	ანგ. №GE10VT2900000007963602
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: UGEBGE22
ს.კ. - 231280093	ს.კ. 231169696
ტელ: 835072300	ტელ: 599 741 155
გამგებელი	დირექტორი
პეტრე კიკნაძე ----------	ნუგზარ ბაჩიაშვილი ----------

დანართი N1

თელავის მუნიციპალიტეტში "სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" განსახორციელებელი პროექტების
და მათი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების ფასების ცხრილი

N	სოფელი	სულ თანხა	პროექტების დასახელება	სახარჯ.მომსახურების ღირებულება	სამუშაოს ღირებულება
1	აკურა	42911	სოფლის გაზიფიცირება	858	42053
2	ვანთა	27581	სოფლის გაზიფიცირება	552	27029
3	ბუშეტი	29353	სოფლის გაზიფიცირება	587	28766
4	ქვ.ხოდაშენი	31779	სოფლის გაზიფიცირება	636	31143
5	წინანდალი	59070	ეკლესიის გზის მოასფალტება	591	58479
6	კონდოლი	45236	სოფლის გაზიფიცირება	905	44331
7	კისისხევი	42433	ცენტრალური გზის მოასფალტება	424	42009
8	ნასამხრალი	13680	სასმელი წყლის რეაბილიტაცია	137	13543
9	შალაური	45198	შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია-მოასფალტება	452	44746
10	გულგულა	27782	სოფლის გაზიფიცირება .	556	27226
11	ვარდისუბანი	49134	სოფლის გაზიფიცირება	983	48151
12	ვარდისუბანი	3000	სასმელი წყლის რეაბილიტაცია	30	2970
13	რუისპირი	51141	წყალსადენის ქსელების რეაბილიტაცია	511	50630
14	იყალთო	48503	სოფლის გაზიფიცირება	970	47533
15	ნაფარეული	26077	სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია	261	25816
16	სანიორე	24792	სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია	248	24544
17	ჯუღაანი	7664	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია	77	7587
18	ფშაველი	38412	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის (დრენაჟი) რეაბილიტაცია	384	38028
19	ლალისყური	17713	სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია	177	17536
20	თეთრწყლები	9523	სასმელი წყლის სათავეების რეაბილიტაცია	95	9428
21	კურდღელაური	35000	უსახელო ხევზე გადასასვლელი ბოგირის და გზის მოწყობა	350	34650
22	კურდღელაური	30727	დედახვთისმშობლის და სასაფლაოს გზაზე ნიაღვარგამტარი კოლექტორის მოწყობა	307	30420
23	ყარაჯალა	80000	ჭაბურღილის მოწყობა	800	79200
24	ყარაჯალა	27575	შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა	276	27299
			სულ	11166	

შპს "თელავის რაიონის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიურო"-ს დირექტორი

ნუგზარ ბაჩიაშვილი